



გაზეთის ფასი:

გაზეთით გაუგზავნელად

ერთი წლისა — 6 მან. კაპ.	5 მან. კაპ.
ნახევრის წლისა 3 »	2 » »
სამი თვისა — 1 » 75	1 » 50
ერთი თვისა — » » 60	» » 50
ცალკე ნომრის — » » 12	» » 10

განცხადება ებო, «დროებაში» დას-
მუკლავთ, მიიღება სხვა და სხვა ენებზე. ფა-
სი განცხადების: ჩუქურთვის სხვაობით,
გერტიფერებ 8 კაპ. და ასომთავრულით —
ზოგჯერ 1/2 კაპ.

დროება

საქონლიც კო და სალიცერაცურო გაზეთი

ქალისადი მეზობელი

სქელის-მეზობელი

მიიღება თ თილი სი: «დროების» რე-
დაქციის კანტორაში (გ. წყნეთის და ამს.
სტამბაში, სატისოვის ხსენებით).

ქუთისი სი: გულისმე კადანი და რი-
შვილთანი (სასულიერო სასწავლებელში).
გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნ-
და გამოგზავნონ მოთხოვნები: Вь Туф-
лице. Вь контору редакции газеты «ВРЕ-
МЯ», при типографии Г. Церетели.

გამოდის კვირაში ერთხელ, ზარსკეობით

შინაარსი

სამდგალოების გადასახადის კრეფა. საქართვე-
ლო: წერილი ამბობს, გორიდან (გორისკმ.
«დროების»), გომის ვაჭრობა იმერეთში. და-
საფლავება იმერეთში. რ უსეთი: წერილი ამ-
ბობს. უცხო ქვეყნებში: საფრანგეთი, — ესპა-
ნია. — ახალი სამართალი. ნაკვეთი.

სამდგალოების გადასახადის კრეფა

რუსულ გაზეთში პეტრებულის უწყებებ-
შია ეკითხულობთ ხარკის გუბერნიის, კუ-
ბაინის უცხოეთთან ერთს კორრესპონდენტისა,
რომელიც შეეხება სამდგალოებას, თუ რა
დიდი ფულსა კრეფენ მდგალოები რიგის გარ-
დახდისათვის: ნათლობისთვის, ქორწილისთვის,
დასაფლავებისთვის და სხვა. ამ კორრეს-
პონდენტის თითქმის სრულად ეთარგმნით:
«პეტრებულის უწყებებსა და კორრესპონდენ-
ტის მუდამ კეთილად, მაგრამ დღევანდელად
სამდგალოებისაგან ფულის კრეფაზე, გამოსაღებ-
ზე, ერთი სიტყვა არ გამოვიდა. ეს არ ვიცი რას
ჭიკა? ნუ თუ კორრესპონდენტმა ამასი ცუდს
აწეს სედექს, თუ ეს ამასი მარტო ჩვენს უსმადია,
ან იქნება ეს საქმე საქვეყნოთ განსჯას არ უნდა
მივტოვებ? რაც უნდა თქვან, მისივე პირველად
გაუგზავნე ამ სჯავს ურადღება მივაჭვიო.

სამდგალოებისათვის გამოსაღები სხვა და სხვა
რავის გადახდისათვის შეტის შეტად წრეს გავიდა.
გვარისწერისთვის მდგალოები ადრე 5 და 7 მანეთს
იღებდა, ახლა თხუთმეტს ათხუთმეტს, ესე იგი ათხუთმეტს,
უფრო 20, 25, 30 მანეთს და შეტის იღებს.
შეტისთვის წინააღმდეგობა მანეთს იღებდნენ, ეს-
ლა 7 მანეთს ნაკლებს სეხსაც არა ჭიკაძენ და
იღებენ 10 და შეტის. ნოემბრის თვეში ერთ
სოფლის საზოგადოებაში ვხსენ სოფლების
გლეხებს ურადღება ჭიკაძეთ და საშინლად
უჩიოდნენ სამდგალოების გადასახადს ფულ-
სა და ამისთან ამობდნენ, რომ ამის გამოთ
ცოლის შეტითა რა გვინდა, კვლავ შეგვირთავსო,
რადგანაც მდგალოების გვარისწერის მისაღებათ
სასჯარის გაუიდა მოკვინდება. მე შეტის
წიკა, და არქიელთან უჩივლეთ, მეტოქე. გლეხებს
ეს ჭიკაძე არ დაუფლავთ, არა გამოვიდა და უფ-
რო შეტის თხოვნასაც დაგვიწყებენ.

აი რამდენიმე საწმინდა ამბავი: ჩემს მხარე-
უფლისწულისთვის შეტისა მოუხდა, მდგალო ამის
მიცემისთვის რის ფოთით შეტად მანეთს დასჯარ-
და. ჩვენს ახლო სოფელში მარტოაღება გლეხის
პიკმა დასახლება მოინდომა. გვარისწერათ მდგალო-
მა რა თუ მისი მოსთხოვა, გლეხმა სეკუნა დაუ-
წყო, რვა მანეთი ადღე, სხვა არა მაქვს რა. მე
სოფელი გლეხკაცებიც ემოწმენ, რომ დაწმინდა
და იუფისით რვა მანეთით. მდგალო თავის სი-
ტყუარად დადგა. სეკუნა პიკს, რაც ჭიკაძეს, სულ
იხუდა გავიდა, მისცა მდგალო რა თუ მისი და

გვარისწერის შემდეგ მანეთს დადგა თავისი ც-
რელი ქონი და ცოლიანთ მოკვამცრეთ დადგა,
რომ სედექით სასჯარის განსამართლად რა-
ოდ მანეთი შეტვან. — სოფლის სასამართლო
მდგალოს ერთი გლეხის შეტისა მოთხოვა,
მდგალო ერთი თუმანი მოინდომა. ზღაღანიანის
გაზეთებს, იმსაც ერთი თუმანი ეთხოვან. —

დასაფლავებისთვის 3 მანეთს იღებენ. ჩემთან
წინადასწარისთვის ერთი დედაცაი მოკვია, შე-
ლი მოჭკადოდა. მე ვეთხოვ, მდგალოს მოაუყან
თუ არა მეტოქე? რაც იქნება, იქნება, მდგალოს
არ მოაუყანო; აი ჯერ ჩვენ შეტისაგან ჩემსაზე
უფრო ზატარა დაუხარისა მდგალომა, სამა მანეთი
გამოართვა; მე არა მაქვს. — ახლა ამისაც უნდა
დაუმატოთ, რომ ერთი სოფელითგან შეტისა
თუ დაუმატეს მდგალო, ცხენი გლეხისა უნდა
იყვან წასვლა-წამოსვლისთვის.

საკვირველი ეს არის, რომ თათი ეს მდგალოები,
გლეხებს რა ამდენს ართმევენ და თათო რიგის
გადახდის წინააღმდეგ ეკატრებან და ფულსაც
წინათ თხოულობენ. — შეტისაგან ანც კატრებან,
ანც უსრებათ დასესების უმალ მისულა და რიგის
გადახდაზე თათო მანეთს სეკუნაგან, დაჯერისან-
თაც მადლობას უსდინან.

უტყველია, რომ მკითხველს ამისთანა ამბები
ბევრჯერ უნახავს, როგორც ამ კორრესპონ-
ტისა. ვისაც სოფელში უცხოვრია და უნახავს
ან გაუგონია შემოხსენებული ამბებისთანა,
ყოველთვის დაფიქრდებოდა და ბევრი რაღა-
ცები გაუფიქრებდა თავში. მაგრამ რა წამალი
უნდა დედოს, აი ეს უფრო სასარგებლოა
რო ვითქვით.

შორს რომ არ წაიღებთ, ამას უნდა დავემ-
ყაროთ, რომ პირველად ხალხი საჭიროთა
ჭრაცხს მდგალო იყოლიოს. აქედან გამოვა
მეორე რამ: მდგალოს ცხოვრება უნდა, მე-
ტადრე თუ ცოლშვილიანაც არის. ჩვენ კარ-
გა ვიცით, რომ მდგალოს ჯამაგირი არა აქვს
რა, მამსადაზე სოფელს თუ მდგალო უნდა,
უნდა შეინახოს კიდევცა.

ჩვენში როგორ იხანავს სოფელი მდგალო-
სა? თითო კომლი წელიწადში აძლევს თითო
კოდს პურსა. ეს არის დადებული გლეხის
გადასახადი. მაგრამ თუ სოფელში გიცხოვ-
რიათ, ეს არ გენახებთ რის ვაი ვაგლანით,
ჯიჯღინით, ორმოცჯერ სიარულით, ხეცნა
მუდარებით და რამდენის დაეიდარაბით აგრო-
ვებენ მდგალოები ამ თითო კოდსა. თითო
კოდის მოგროვებისათვის ბევრჯერ კვირები
კი არა, თვეები მიდის. ეს დაბრკოლება, სხვა-
თა შორის, რასაკვირველია იმისაგან არის,
რომ გლეხს თითონაც ძალიან ცოტა აქვს.

ამ გვარად ორისავე მხრით უსიამოვნო
მდგომარეობაა: ერთს უტყობს მიცემა, მეორე
ამ გაჭირებულ მდგომარეობასა ხედვს, მაგრამ
თავისი გაჭირება ძალს ატანს რო გამოარ-
თოს. ორივე მხარე ჭკრძობს ერთმანეთის
ვაგლახსა და აი ერთმანეთის სამდგალოს
მიხეზი.

მდგალოს ეს გაჭირება და სამდგალო სხვა
ლორისძიებას აპოინინებს ხოლმე, რომ თავი
იჩინოს. წლის გადაკვეთის გამოსაღებს ისე
აღარ გამოეცილება ხოლმე, როგორც რიგის
გადახდის ფულსა. ყოველთვის სცილობს,
რამდენცკი შეიძლება, მეტი აილოს ნათლო-
ბაზე. და მეტადრე გვარისწერაზე და დასაფ-
ლავებაზე. *ესე მიდის დღითი დღე და ერთი
მეორეს ემდურება, მეორე პირველს ართმევს
და ბოლო კი არ ეღება.

როგორც წლის გადასახადის სიძნელესა
გარძობენ მდგალოები, განა ამ რიგის გადასა-
ხადის სიძნელეს კი არ იგარძობენ. როგორც
უბრალო გულის კაცები, უტყველათ უნდა
ჭკრძობდნენ. ვინც უფრო კეთილი გულისაა
იმას მეტი ვერა მოუხერხებია, რომ ცოტას
იღებს რიგის გადასახადსა, და წლისას ხო
იქნება თავსაც ანებდეს. მაგრამ ვისაც გული
სულ სხვა რიგად გადაქცევიდა ქვეყნის ვება-
ში და ცოლშვილის ზრუნვაში, ის თავისას
არ იტყუებს და სცილობს მომატებული აი-
ლოს.

მაგრამ რაკ ამისთანა სიძნელეს და შედ-
მიც სამდგალოს და ვაი ვაგლახს ენებათ,
რომ ღონისძიება უნდა მოვიგონოთ, რომ
ცოტადნათ მინც შეუმსუბუქოთ სოფლის
ხალხს მდგომარეობა ამ შემთხვევაში.

ერთი მაგალითი იყო რუსეთში: სოფლის
ხალხმა გადასწავილა რაღაცა გადასახადისა-
თვის, რომ სახელმწიფო მიწა, რამდენიმე
დღითი, შეამუშაონ ერთად, ამის მოსა-
ვალი გაჰყიდონ და ფული შეიტანონ
იმ გადასახადისათვის. ეს გარემოება ისე შე-
სანიშნავია, რომ მეტის მეტი ყურადღება უნ-
და მიექციოთ, როდესაც სოფელში საზო-
გადო საქმეს აპირებენ: ბანკის გამართვას, ან
შკოლის დაფუძნებას, ან და სახელმწიფო და
ფოშტის ხარჯსა.

მაგრამ რადგანაც ჩვენის აზრით ყოველს
დაწყობილს საქმეს თავზე მცოდნე კაცი უნ-
და ადგეს, ვიდრემდე საქმეს ხალხი შეერეოდეს
და ეს საქმე თავისთავით, სხვის შეუწყველად,
სხვის უჩვენებლათ წავიდოდეს. ისეთს ღონის-
ძიებას უნდა ვეძებდეთ. რომ შემდეგში ყვე-
ლა შემოხსენებული საქმეების წაყენისათვის
ხალხი მომზადებული იყოს და ამ ახლისა
ძალიან არა ეტყობოდეს. რა.

პირველი და კარგი შემთხვევა ეს მდგალო-
ბის გადასახადია.
ჩვენს მდგალოები ადგილობრივად სდგანან
სოფელში, სოფლის ხალხის საჭიროება და
მდგალოებისა შეერთებულია ამ გარემოებით.
კეთილ გონიერი მდგალოები მიხედვიან, რა
ძალიან საჭიროა შემოხსენებულ სიძნელის თა-
ვიდან მოშორება. კეთილ გონიერი მდგა-
ლო, ცოტადრე ხალხის სიკეთის მზრუნველი
ეცდება ამ სიძნელეს რამ წამალი დასდოს
და ხალხს როგორმე ჩაგონოს რამ ორთავ
მხრისთვის ღონის ძიება. — და მდგალოსთვის

დიდათ სასარგებლო იქნებოდა ზემო
მოხსენებულ საქმის ასრულება. ვიტყვი გა-
დაწყვეთით და უფრო გარკვევით.

ეთქვათ, ერთი სოფელია, რომელსაცა ჰყავს
ასი კომლი მოსახლე გლეხი და ერთი მდგალო-
ლი. წლის გადასახადი კომლზედ თითო კო-
ლია, ამას გარდა სხვა გადასახადი იქნება ნათ-
ლობაზე, გვარის წერაზე, დასაფლავებაზე და
სხვა.


წლის გადასახადი კოდისა იქნება ასი კო-
ლი და ცალკე რიგის გადასახადიც სხვა. ეს
ორივე პურზე ვიანგარიშოთ, ეთქვათ სულ
ორასი კოლი გამოვიდა. განა არ შეიძლება
მთელმა სოფელმა ერთად მოიყენოს ეს ორა-
სი ან მეტი და ანუ ნაკლები, რომ უფრო
გაუადვილდეს გლეხობას ამის გადახდა.

ვგონებთ ასე შეიძლებოდა. იზოვოს გლე-
ხობამ და მდგალომა ერთად რამე სახნავი
მიწა და გლეხობამ იკისროს იმისი შემუშა-
ვება: ხენა, თესვა, რწყვა, მოტანა, გალე-
წვა და განაღება. რასაკვირველია მთელი
სოფელი ერთად არ მოუხდებდა ამ მოშობას.
ეს შეიძლება: წრეთს სოფლის ერთმა ნაწილ-
მა ვაკეთოს, ერთმა უბანმა იშუშოს, მე-
რის მეორემ, მერე მესამემ და სხვა ამ რიგად,
ჯერითა.

აქ რამდენიმე გარემოება არის, რომელზე-
დაც ლაპარაკი მეტი არ იქნება. ეთქვათ, წლის
გადასახადი კოდისა ცხადია, რამდენი უნდა
შესდგეს; სხვა რიგის გადასახადი, გვარის წე-
რისა და დასაფლავებისა როგორ ვიანგარიშო-
თ? იტყვიან. ამის გამოანგარიშებაც ძნელი
არ უნდა იყოს. განა არ შეიძლება ორი-სა-
ში წლისა, ოთხისა, ხუთისა გამოანგარიშო-
ხალხმა, მდგალოს რა აუღია ნათლობაზე
და სხვა რიგის გადახდაზე. რამდენჯერ რა მო-
მხდარა და რა შემთხვევაში რამდენი აუღია
მდგალოსა. სულ ამისი ანგარიში მდგალოს
კარგა ეცოდინებათ თავთავის სოფელში და
ვგონებთ მოხარულიც იყვენ, რომ იმდენს
დაეიდარაბას და ღიჯინს გადაარჩენ. ამისთვის
კეთილგონიეროთ, არა გვეგონია, რომ დამა-
ლონ ვის რა აქვს წელიწადში შემოსავალი
სულ ერთიანად.

მეორე გარემოება ის იქნება, რომ მამულის
სად ეიზოვითო. ამ შემთხვევაში შეიძლება
რამდენიმე გზა გამოჩნდეს. საცა მებატონეები
არიან და მამულები მომატებული აქვთ, იქ-
ნება არ დაიშურონ თავის მდგალოს, რომე-
ლიც იმათაც უხდის რიგსა, უხათონ და და-
უთმონ რამდენისავე წლით რამდენიმე დღი-
ური; ამასთა იქნება მდგალოსა ჭიკაძეს მა-
მული ცარიელი. უფრო ხშირად შეიძლება
სახელმწიფო მამულის აღება, რადგანაც სა-
ხელმწიფო მამულებზე ხშირად მუშაობენ
გლეხები.

ერთი დაბრკოლება კიდევ ამაში იქნება,
რომ ზოგი იტყვის, მე მარტო ხელი ვარო და
წერილფეხობა არა მყავსო, არც არა ნათლო-



ბის და არც ჯვარისწერის ხარჯი არ მომიცია, მე ტყვილად შრომას რად გავწევო. მაგრამ მარტონელ კაცს თითონ სოფელიც ეხლა არასდროს არ აწუხებს და არც, ვგონებთ, შემდეგში შეაწუხებს.

თუ კიდევ ლაპარაკი იქნება რამე, ისევე საერთოდ თუ იქნება. იქნება თქვან, ადვილ ტყვილათ ამ მღვდლის შრომას რათ დავემონათოთ და მუდამ წელს სამი ოთხი დღე რათ დავკარგოთ. მაგრამ იქნება ამ შემთხვევაში გონიერებამ დასძლიოს და გლახებმა ირჩიონ სამი ოთხი დღის მუშაობა, რამდენი სამე წლის ვალზე, დედულ-მამულის დაგირაგებაზე და სომხების და ურების ხელში ჩაგარდნაზე.

«დროების» მკითხველებში, არ შეიძლება, რამდენიმე კეთილ გონიერი მღვდელი არ იყოს, რომ ამ ჩვენს სიტყვებს ურადღებდა არ მიჰქციოს. ჩვენ დიდათ ვისურვებთ, რომ კარგათ განიხილონ, გარკვეონ და თუ შეიძლება სოფლებში თავის მრევლს მისცენ ამგვარი რჩევა. ამასთანავე სასურველია, რომ გავხეივში ანუ ყურნალებში გამოაცხადონ თავისი აზრი ამ საგნის შესახებ, რომ შეეცადონ, რაში ხელეწი ამ გვართ საქმის ასრულების დაბრკოლებას, ანუ შეუძლებლობას.

კიდევ განვიმეორებთ, რომ ეს გაუადვილებს გლახებსაც და მღვდლებსაც გადასახადის აღებას და მიცემას. მღვდელი საზღვარსა უფრო თავისუფალი იქნება ღიჯინსა და დავიდარბასა, გლახი თავისი მხრით მარტო ასრულებს რამდენსამე დღის მუშაობას და ყოველთვის შეუძლია შეუვარჯებლად დაიბაროს მღვდელი მოსანათლავად, ჯვარის წერად და დასამარხავად, რომელიც უნდა წაიღეს უფასოდ და გადაუხადოს რასაც რიგს მოითხოვს გლახი.

ერთად ერთი მაგალითი რომ სადმე გაჩნდეს და ისეთი მღვდელი გამოჩნდეს, რომ მრევლს ჩაგონოს და მრევლიც თავის სარგებლობას ხელდაეღოს ამ საქმის ასრულებაში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, სხვა ბევრი სოფელი გამოჩნდეს მიმდამელი.

ენახთ გამოჩნდება იმისთანა მრევლი და მღვდელი სადმე, თუ არა?

ტფილისი, 25 აპრილს.

საქართველო

«დროების» წარსულ ნომერში იყო მოხსენებული ეთოპიკ რკინის გზის ხიდი ძეგვთან გათავებული იყო. ეს ამბავი ასე არ არის. ძეგვის და მცხეთის ხიდები თითქმის მზათ არიან, მხოლოდ ორსავეზე ჯერ რელსები არ დაუწყიათ. სარწმუნო პირებისაგან შეეიტყუო, რომ გზა უქვევლად თიბათვის პირველამდინ იქნება გაკეთებული.

რკინის ხიდებს რომ აკეთებენ, მარტო ერთი ვაგონების გასვლა-გადმოსვლისთვის აკეთებენო. ამბობენ, ეს ხიდები შეიძლება ისე გაკეთებინათ, რომ ქვეით გამვლელ გამოვლელსაც შესძლებოდა სიარული და არც სახენებელი მეტი ხარჯი მოუვიდოდა კომპანიასაო.

ფოთ-ტფილისის რკინის გზის სტანციებში განცხადებები რომელიმეც არის წესი წასვლა-მოსვლის დროს, ფასი და სხვა, მარტო არის რუსულათ. ხალხი გროვდება, ხან ერთსა ჰკითხავს მითარგმნე, ხან მეორეს და ბევრი აქეთ იქით სირბილი და ხეწნა უნდება. კომპანია ცუდათ სჩადის, რომ არა ჰბაძავს სახელმწიფოს და ქალაქის მართველობის მაგალითს; რამდენი წესები, განცხადებები, კანონებია, რომ რუსულათ და ქართულათ გამოუცია.

სტავროპოლის გავითის სიტყვით, მარტის 18 დიდ მთავარ ნამესტნიკს სტავროპოლის საზოგადოების მიღების დროს გამოუცხადებია მოკალაქებისთვის როსტოვიტან ვლადიკავკას რკინის გზის გამართვის ეთარება, და უთქვამს ამასთან, რომ გზა სტავროპოლს ასცდება და ეგორლიკისაკენ გაივლისო. მისმა უმაღლესობამ ურჩია საზოგადოებას, ცოტადე მოითმინეთო, სანამ გზა გაკეთდებოდესო, და მაშინ შეიძლება თხოვნაო, რომ სტავროპოლზე რკინის გზის შტო გამოედგოსო. ხელმწიფე იმპერატორთან ამის თხოვნას და შუამდგომლობას უმაღლესად თვით დაჰპირდა.

ამ ქამათ ლაპარაკია, რომ ტფილისისა რუსეთთან შეერთებისათვის რკინის გზა მთებში შეიძლება გაედგოსო. ამისათვის მოუწოდებდა ერთ ადგილს ექვსი ევრის სიგმეთ მთაში გვირაბის (ტონელის) გათხრაო. გვირაბის გათხრა ძნელი არ იქნებაო, რათგანაც რბილი, ჭადა მთა არის გასათხრელი ადგილები და მუშაობას რვა მილიონზე მეტი არ მოუწოდებდა. დანარჩენ ადგილებში გზა მთების ფერდობებზე და ეკეებზე გავა. ანგარიშობენ, რომ ეს რკინის გზა ისე ძნელი გასაკეთებელი არ იქნება, როგორც აქამდინ ევრათ და გვირაბი ადვილი გასაკეთებია მოსენისის გვირაბზე, რომელიც 14 ევრსია. ეს აზრი ეკუთვნის პოლკოვნიკს სტატკოვსკის, რომელიც ვლადიკავკასის გზას აკეთებდა რამდენიმე წლის წინად და, როგორც აქაური რუსული გავითი «კავკაზი» ამბობს, კავკასის გზის მთების ცოდნაში განვითარებულიაო. აქამდინ ჰეიქრობდნენ, რომ რუსეთთან შეერთებისათვის, ვლადიკავკასს როსტოვიტან რომ რკინის გზა მოვა, აქეთგან პეტროვსკზე წავაო ბაქს (700 ევრსი) და რადგანაც ბაქოტან ტფილისსაც გაკეთდება გზა (520 ევრსი) ამ გვართ შეიძლება კავკასის და ქალაქის შეერთებაო.

«კავკაზის» კორრესპონდენტი იწერება ზაქათალიტან, რომ ამ ახლო ხანებში ელისუს ლეკებს თავის სოფელში შკოლა გაუმართათ. აქამდინ ზაქათლის მაზრაში მარტო ერთ სოფელში კახში ყოფილა შკოლა, რომელშიაც ეხლა 47 შაგირდიაო, იმათში ორი სომეხია და დანარჩენნი ინგილოები არიანო. ამ სასწავლებელში ყმაწვილები სიტყვიტეს და გამჭირახობას დიდს იჩენნო. ეს შკოლა «მართლმადიდებლის საზოგადოების» ხარჯით არის გაკეთებული 1869 წელს. პირველათ ინგილოები შეიღებს არ აძლევდნენო და მასწავლებელი ამბობს, (რომელსაც ალექსანდროვის სამასწავლებლო სემინარიაში დაუსრულებია სწავლა) რომ დიდი შრომა გამოვიარე, სანამ დედამას გაგებდინე შეიღების სოცემოა. ამ კახის შკოლაშივე სწავლობდნენ ბეგების შვილები რიცხვით 19, შემდეგ კი თავი დაანებესო.

ამბობენ ადგომის კვირაში მიწისთვის ფაბრიკაში ძალიან ნაკლებათა ყოფილან, თითქმის მეთაფი ნაწილი, მუშები, ასე რომ იმის მესხეთელი ქსელი არცკი გამოსულა, რაც ადრე გამოდიოდაო. მუშაობა დაწყობილა ოთხშაბათს დილით.

23 რიცხვს ქალაქში მოვიდა შეერთებული შტატების გენერალი ვილიამ შერმანი, გამოჩენილი მხედარი და ჯარის წინამძღვარი მონების განთავისუფლებისათვის ომების დროსა. შერმანთან მოვიდა აგროთე ეხლანდელი პრეზიდენტის შვილი ფრიდრიხ გრანტი. ესენი მოვიდნენ ყირიმზე, და აქეთგან რუსეთში, მოსკოვს და პეტრობურსს, მიდიან.

წარსულს კვირას ქართლში ძალისი სეტყვა ყოფილა, ყანები ძალიან დაუხანებიაო. მთებში თოვლი მოსულა და ამბობენ ცხვარი ბუკნი გაუფუჭებიაო. ამის გამოთ ქაღაჭში, როგორც ამ დიდმარხვაში იყო, სორცის ისეთი სიძვირეა, რომ თავის დღეში არაფერს არ მოსწრება: ცხვრის სორტი გირვანჯა ორი შაურია, ძროხისაც კარგი ორი შაური და უბრალო ცხრა კაპეკია.

გაზრთგან

(«დროების» კორრესპონდენცია.)

გორში ოთხი კვირა შკოლა—ორი ეკლესიისა და ორი ქაღებისა. ვაჭების შკოლაში პირველი ადგილი უჭირავს «ლაგონტის შკოლას», რომელზედაც ორიოდ სიტყვა იყო 1871 წ. «დროების» № 14-ში. მაშინ ამ შკოლას მარტო შორითგან ეიცნობდი, ხოლო ახლა ისე დახლოებით ეიცნობ, რომ შეუადრის-უქან ამ შკოლაში, თუ არაფერს დამცინებს, ასე ვიტყვი, უსასყიდლო მშრომელი ვარ. ამ შკოლის განწყობილობა სრულიად უბრალოა. მოსწავლეები საკვირველად გულსმოდგინედ ეტიდებიან თავიანთ საქმეს. ამ შკოლაში შესანიშნავი ის არის, რომ ათში ერთს მოსწავლეს ვერ უპოვით დაბეჭდილს წიგნს, სულ ხელთ ნაწერი რეცეულები აქეთ, რომლებშიაც ზოგს ლოცვები, ზოგს რუსული და ქართული ანგარიში, ზოგს ანდაზები, ზოგს ლექსები, ზოგს რა და ზოგს რა უწყობია. მიკერს: ამდენს (100-დის) რეცეულებს როგორ ასწრობს ამ შკოლის მასწავლებელი! ამ შკოლაში გამოცადე მე ქართული კითხვის სწავლა მოძრაების ასოებით (подготовительный курс), რომელნიც დიდრონ-დიდრონი დაწერიე ქალაღზე და მასუკან დაეჭერი; ხოლო ვასწავლი ყაზანის გუბერნიის სახალხო შკოლების ინსპექტორის უფ. ზოლოტნიცის მეთოდზე, რომელიც არის შედგენილი ყველა აწინდელ შესანიშნავ მეთოდებისაგან. კითხვა ამ ასოებით და ამ მეთოდზე ძრიელ მალე ისწავლეს ბავშვებმა და ეინც მე ამაზე არ დამერწმუნება, ეთხოე უმორჩილესად—თვითონ სცადოს. ძრიელ სასიამოვნო და სასარგებლო იქნებოდა, რომ ქართული მოძრაეი ანბანი დაბეჭდილი გვექონდეს. (*)

მეორე ვაჭების შკოლა ეკუთვნის სომეხს, თანამდებობით პრინციტის. ამ შკოლაში სასწავლებელი ფასი თვეში—ორი აბახია; სწავლა მიდის ამ შკოლაში, რამდენათაც ღონისძიებაა, ძრიელ მარჯვეთ. სამწუხაროა, რომ გორში დაბეჭდილი წიგნები—ქართული თუ რუსული—ყმაწვილებისთვის იშვიათათ იშვება და თითქმის სრულებითაც არაფერს ვაჭრობს წიგნებით.

პირველი ქაღების შკოლა აქეთ გამართული ორ დათ ხრუშოვებს (რუსები არიან.) ამ შკოლაში სასწავლებლის ფასი თვეში—სამი მანეთია, სადაცა წერა-კითხვას გარდა რუსულ და ქართულ ენაზე, ხელ საქმესაც ასწავლიან.

მეორე ქაღების შკოლა ამ ცოტა ხანში გახსნეს გორში და ყველანი აქებენ იმით, რომ წერა-კითხვას ასწავლიან არა მარტო რუსულ და ქართულ ენაზე, არამედ უცხო ენებზედაც;—ამასთანავე ასწავლიან აქმეწენიერ ხელთ საქმეს, ტანციობას და მუზიკას.

ძალიან სასურველია, რომ გორსავით სხვაგანაც ესე გახშირდეს სასწავლებლები. ერთ ღამეს ორი ეკლესია გატეხეს აქეთ:

(*) როგორც შეეიტყუო, ამ ახლო ხანებში გამოგვაგაგასშვიდის ახლად შედგენილი ანბანი, მოძრაეის ასოებით.

ერთი თვით გორში მარტო გორის ჯვრის ეკლესია. პირველითგან გაეტანათ ქურდებს ცამეტ მანეთამდი ფული და ვერცხლის სხვა და სხვა ნივთები; ხოლო მეორეთგან თექვსმეტი მანეთი ფული. ქურდებს ეძებენ, მაგრამ ჯერ არ უპოვიათ.

გორი, 16-ს აპრილს.

გიშრის ვაჭრობა იმერეთში.

მგონია, ყველას უნახავს ის შავი და მხალტე კრილონები და ზოგი სხვა ნივთებიც, რომელთაც ჩვენში გიშრის კრილონებს ეძახიან. ამისთანა ნივთები განსაკუთრებით იმერეთში ძალიან ბევრი მოიპოვება, ასე რომ ვერც კაცსა და ვერც ქალს ნახავთ, რომ რამე ნივთი არა ჰქონდეს გიშრისა. განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს ჩვენში შემოიღეს გიშრისაგან სხვა და სხვა ნივთების კეთება და ძალიანაც მოსწონთ, რადგან იმის ნაკეთი მართლაც რომ ლამაზია და იაფიც.

იმერეთში გიშრის ნივთებს აკეთებენ თვითონ ქუთაისის უფლებში, ოკრიბაში, შემდეგ სოფლებში: გელათს, კურსებს, სოჩხეთს და სხ. ამას გარდა ზოგან შორაპნის უფლებშიაც აკეთებენ გლახები გიშრის ნივთებსა.

უქველია, რომ გიშრის უნდა წარმოამდგარიყოს იქილამე, საილამაც ქვის ნახშირი წარმოადგა; ესე იგი მცენარეულისაგან. სწავლებლისაგან გამოკლევულია ახლა, რომ ქვის-ნახშირი წარმოამდგარა იქილამ, რომ რომელსამე ალაგს ან წყლის მიწეზითა და ან მიწის ჩაქვეით, ძირს დაწვეით, მიწის ქვეშ მოქცეულა მცენარეები (ტყე). დიდი ხნის განმავლობაში, სხვა და სხვა ბუნების მოვლინების ძალით გამაგრებულა და ნახშირად ქცეულა. ანაირათვე, შესაძლებელია, რომ ცოტა სხვა გვარი ბუნების მოვლინებისგან იგივე მცენარეები ან პირ და პირ გიშრათ გაკეთებული იყეს და ან ქვის-ნახშირისაგან ქცეულიყეს გიშრათ მიწის ქვეშ.

მე არსად არ გამოგონია, რომ, იმერეთს გარდა, სხვაგან სადმე იპოვებდეს გიშრის და ან იცოდნენ იმისაგან რისიმე კეთება. ეს არის წმინდა იმერული ბუნების ნაწარმოები და იმერეთის ხელობა. უქველია, რომ ამ საგნის წარმოება ოდესმე ძლიერ გავრცელდება ჩვენში და შეადგენს ერთს ხალხის ღონისძიების მოპოების საშუალებასა.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც თვითონ იმერეთში შემოიღეს გიშრის შემუშავება და იმისაგან სხვა და სხვა ნივთების კეთება. ძველათ ჩვენ მამა-პაპათ, რასაკვირველია, სკოდნათ გიშრის კეთება, მაგრამ როგორც გამოგონია, ძალიან ნაკლებათ და ცოტას აკეთებდნენ თურმე, რადგან არც კეთება სკოდნათ ისე კარგათ, როგორც ეხლა იციან და არც ისე მოსწონდათ. ამ საუკუნის დამდეგიდან (1814) უფრო გავრცელებულა გიშრის წარმოება, მაგრამ 1839 წლამდი გიშრის ნივთების გაპრიალება, გლანცის მიცემა არა სკოდნათ და ამიტომ იმისგან გაკეთებული ნივთები არ იყვნენ ისე შნობიანი და არც იყიდებოდა. 1839 წელს უფ. იე. ნიკოლაძეს მოუწახავს გიშრის გაპრიალების საშუალება (ქიქის ნამტყრევით) და მას შემდეგ გიშრის უფრო მომეტებული პატივი დაეღვა და ხალხში გავრცელდა იმისაგან გაკეთებული ნივთების ხმარება. 1841 წელს ამავე ნიკოლაძეს გაუმართავს ქუთაისში განსაკუთრებული გიშრის მალაზია, რომელიც ამ ქამათაც არსებობს და რომელიმეც ყოველგვარ გიშრის ნივთებს იპოვით. ჯერჯერობით გიშრისაგან, კრილონის გარდა, მხოლოდ სხვა და სხვა წერილ ნივთებს აკეთებენ.



ქვემოთაჲსი

თებენ: სამაჯურებს (ზაზანკი), საუბრებს, ბროშებს, მუშტულებს, ჩიბუხისთავებს, მედალიონებს და სხვა ამგვარ წერილ საგნებს. გიშრის ნაკეთი ნივთები ერთი შეხედვით ძალიან მგავს გუტაპერჩის ნივთებს, რომელიც ამ უკანასკნელ დროს შემოიღეს. ნაკლულები გიშრისა ის არის, რომ ერთობ რბილია და მალე ტყდება; მაგრამ, როდესაც იმის კეთებას მიჰქცევენ ყურადღებას, უჭველია, ისეთ საშუალებას მოიგონებენ, რომლითაც შესაძლებელი იქნება იმის გამაგრება და მაშინ გიშრის კიდე მომეტებული ფასი დეიდება.

უფ. ი. ნიკოლაძეს რამდენჯერმე გაუზავენია გამოფენაზე იმერეთში ნაკეთი გიშრის ნივთები და ძალიან მოსწონებიათ. წელსაც ნდომებია მოსკოვის პოლიტექნიკურ გამოფენაზე გაგზავნა, მაგრამ, საუბედუროთ სხვა და სხვა დაბრკოლება შეხვედრია და ამის გამო, ვერ მოუხერხებია.

ნიკოლაძის მალაზისათვის, როგორც თვითონ გვიამბო, 15 კაცი მუშაობს გიშრზე. ამას გარდა ოკრიბაში 200 კაცი და ქალი ადგია თურმე გიშრის კეთებას და კარგი შემოსავალიც აქვთ, თუმცა ეს ხელობა ძირიელ ძნელი ხელობაა, რადგან თითქმის ყოველ გვარ ნივთს ხელით აკეთებენ და სულ უბრალო იარაღებით. გიშრის ძალიან ფრთხილი და წმინდა ხელობა უნდა და ამიტომ ამ საქმეში ქალის შრომა აუცილებლათ საჭირო და მართლაც მუშაობენ ისინი.

თვითონ კავკასიის გარდა, გიშრის ნივთები ბევრი გააქვთ სტამბოლში, სადაც იმას «შაქარ ვას» უძახიან თურმე; გააქვთ იერუსალიმში, და ცოტაოდენი ნაწილი საფრანგეთში, ინგლისში და სხვა უცხო-ქვეყნების სახელმწიფოებში; ასე რომ ამ ქაშად საშუალო რიცხვით, წელიწადში 20,000 მანეთის გიშრის ნივთები გააქვთ იმერეთიდან სხვა ქვეყნებში.

თუ შემდგომაც ისეთის წარმატებით წავიდა გიშრის წარმოების საქმე, როგორც ამ უკანასკნელ წელიწადებში მიდის, მაშინ იმედია, ამ წარმოებას კარგი მომავალი მოელის და ცოტაოდენად მაინც დაეხმარება იმერეთის ღარიბულ მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგრამ აქაც, როგორც ყოველთვის და ყოველგან, ხელის შემწყობი, მკოდნე კაცები და ფულგებია საჭირო... ესენიკი ორივე, საუბედუროთ, ნაკლებათ მოიპოვებენ ჩვენში...

ს. მ.

ქუთაისი, 22 აპრილს.

მიცვალებულის დასაფლავების წესი იმერეთში

იმედი მაქვს, უფალო რედაქტორო, რომ არ ითაკილებთ გლეხის კაცისაგან მიღებულის სტატიის დაბეჭედას პატივ საცემელს თქვენს გაზეთში. იქნება, გაგიკვირდეთ: ვინ კულაშელი ყაზახი და ვინ სტატეების წერა? ეს მართალია, მე არც ვიცი წერა და არც წაკითხვა, მაგრამ მე ჩემის სიტყვით ვაწერინებ, ერთს წერის მცოდნესა.

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, იმერეთში ტირილი და განსვენებულის დამარხვა რა ხარჯს და რანაირს მენეველს ჩვეულობას ითხოვდა, და რანაირადცა ღარიბდებოდა ხალხი ამითი ნამეტურ აქ. ჩვენს სოფელში კუდაშს, სადაც მარტო თავადნი სცხოვრებენ 96, კომლი (!), ხოლო გლეხნი 845 კომლი არიან. პირველად აღვიწერთ თავადების ჩვეულებასა. როდესაც ავადმყოფი უკანასკნელს ქაშშიდ არის, სამის დღის წინ, კანნი და ქალნი, თითქმის მოახლეც არ დარჩებოდა თავის სახლშიდ, სულ ავადმყოფის ოჯახშიდ შეიყრებოდნენ; როდესაც ავადმყოფი გაღიგვლებოდა, შეიქნებოდა ერთი საზარელი ვეების ხმა, თმისა და წვერ-ულვაშების გლეჯა; ჭირის უფალს წაიყვანდნენ და დასმიდნენ მიწაზედ, ანუ ჩალას დაუგებდნენ ბნელს სახლშიდ, და თვითოეული იქ მყოფი, თვითოდ და თვითოდ ჭირისუფალს წინ დაუწრებოდა და მიუტირებდა. ეს საზარელი მდგომარეობა ჭირისუფლისა, ერთს და ორ დღეს არ თავდებოდა.

ეხლა დანიშნავდნენ გაცენების და ტირილის დღესა, მიცვალებულის მეათე ანუ მეთერთმეტე დღესა. იმ დღისათვის უსათუოდ უნდა მოეწოდებინათ მღვდელთ-მთავარი კრებით, ყოველნი მონათესავენი განსვენებულისა და ნაცნობიცა. საქებარი მოსრულის მგლოვიარისთვის ის იყო, ვინც მეტის მოზარეებით 2) მოვიდოდადამომეტებულის ხალხითა. ესეც უნდა იქნაიოთ მხედველობაშიდ რომ იმ დანიშნულს გაცენების დრომდინ განსვენებულის სახლის-კაცები, და როდესაც ბატონ ყმობა იყო, გამოურიცხვათ ყმები, და მან-ლობელი მეზობლებიც იმის სახლშიდ უნდა ყოფილიყვნენ, სადილ ვახშამაც იქ სკამდნენ და თუ რომელიმე არ მივიდოდა, ჭირისუფალი საყვედუროთ აავსებდა.

ტირილის დღეს ქალნი და კანნი, მიცვალებულის მოგვარენი, გამოურიცხვათ ყმები, მღვდლები მახლობლის სოფლისა და მეზობლები შეკრებოდნენ დილის ათს საათზედ, ამ დროს მობრძანდებოდა მღვდელ-მთავარიც, რომელთათვის მდიდარი სადილი იქმნებოდა დამზადებული და მიერთმეტდნენ სადილს თორმეტს საათზედ ძალიან რომ დაე-მცირო, შემდგომის თეადის სახლშიდ იმ დღეს სადილად იქნებოდა ათასი და ორი ათასი ქალიდაკაცი, და ღარიბიც ხუთასზე ნაკლებ მაინც არა; გათავდებოდა სადილი თუ არა, გამოიყვანდნენ ჭირისუფალს, ერთის ზარით და ვეებით მიიყვანდნენ განსვენებულის წინ, დააჩრებდნენ და ნახევარის საათის განმავლობაშიდ მაინც უნდა ეცემა თავშიდ და პირშიდ. შემდგომ აყენებდნენ, ან იმავე სახლშიდ სადაც განსვენებული იდგა კუბოთი, და ან მეორე ოთახშიდ დასმიდნენ პოლზედ, მომზადებულ განზრახ იმ შემთხვევისათვის, ქობშიდ. რომელსაც ერთი კაცი მარჯვნიოთ მოუდგებოდა და მეორე მარცხნიოთ ხელევის გასაკავებლად, რომ თავი არ გავლახა: ჭირისუფალი ჰყავდათ ასრე დაქერილი. შემდგომ დაიწყებდნენ შემოსვლას ნათესავენი, ნაცნობნი და გარეშე მოსრულნიც მოტირალნი, თვითოეული ჯერ იტირებდა განსვენებულს და შემდგომ დაუწრებდა ჭირისუფალს და მიუტირებდა. საბრალო ჭირისუფალს, ყველასთვის შესაბამი სიტყვა უნდა ეთქვა და ეგლიჯნათმა და ერთყმა ცხვირსა და პირშიდ უწყალოთ; რასაკირველია, მგლოვიარეც მზგავსადვე იქცეოდა. ეს საზარელი კომედია განგროძობოდა საღამომდინ, საღამოს გასვენებდნენ განსვენებულს ეკლესიაში. ჭირისუფალი ქმარი თუ იქნებოდა მიცვალებულის, ანუ ცოლი, ჩავამდნენ განგებ გაკეთებულს მარხილშიდ, რომელსაც გაუბმოდნენ სამ ან ოთხს ულელს ხარს და ისრე მაყალბებდნენ უკან კუბოს. ჭირის უფალი ან ეკიპაში და ან სხენზედ თუ შემჯდარიყო, დიდათ სასი-ცხოთ მიანდათ.

მიასვენებდნენ თუ არა მიცვალებულს ეკლესიაში, იმ დამეს იქ დაასვენებდნენ. ჭირის უფალს წამოიყვანდნენ თავის სახლშიდ ქიეთად; რაოდენჯერმე გზაზედ გული შეუწყუბებოდა სისუსტისა და თავში ცემისა გამო. იმ დამეს, როგორც მღვდელთ-მთავარი აგ-2) მოზარე არის განსვენებულის საგლოვო სმის მგლოვბელი.

რეთვე გარეშე მოსრულნიც იქვე მოგროვდებოდნენ და, რასაკირველია, კარგი და გამოჩენილი მასპინძლობა უნდა ყოფილიყო და ყველასათვის საკადრისი ქვეშ საგები.—მეორეს დღეს მღვდელთ მთავარი ინებებდა წირვას განსვენებულისათვის, წესს აუგებდა და მისცემდნენ მიწას. შემდგომ გამოსალმებისა დიდის თავში ცემით ჭირისუფლისა,—დასაფლავების მერმეთ ყველანი, სტუმარი და მასპინძლებიც წამოვიდოდნენ კიდევ მიცვალებულის სახლშიდ, სადაც პირიანდელზედ უმდიდრესი სადილი მიერთმეტადოთ. ნასადილევს კი მღვდელ-მთავარი და სხვა სტუმრებიც წაბრძანდებოდნენ თავ-თავის ადგილას. ამას ნუ დაივიწყებთ, რომ ნათესაები, სახლის კაცები და ყმები, კანნი და ქალნი, რაც ზამთარი უნდა ყოფილიყო, ამ ტირილის გათავებამდინ ფეხს ვერ ჩაიციოდნენ, ფეხშიშველი უნდა ეცლოთ და თავშიშველა. ყმებს გამოურიცხვათ შავი უნდა სცმოდათ ჭირისუფალისსაკუთარის ხარჯით.

თავი ტირილი და გაცენება გათავდა. მაგრამ ჭირისუფალი ორმოც დღემდინ ბნელშიდ უნდა ყოფილიყო და ჩალაზედ დაგებულ ქვეშაგებშიდ, ანუ ტახტზედ დაწოლას როგორ გაბედვიდა, დიდი სირცხვილი იყო: ახლა მეთხუთმეტე დღეზედ, კიდევ უნდა მოეწოდებინა თავის სახლის-კაცი და მეზობლები. სადილს მიართმევდა და ნასადილევს გასწევდნენ და წაიყვანდნენ საბრალო ჭირის უფალს მიცვალებულის საფლავზედ, რომელსაც უნდა განემეორებინა პირველი თავში ცემა და ვეება.—

ახლა ორმეოცზედ არა უმცირესად პირველისა უნდა დაემზადებინა მდიდარი სადილი, მოიწოდებდა იმავე პირთა და სხვაც ბევრი იქნებოდნენ. სადილს შემდგომ კიდევ წაართმევდნენ საწყალს ჭირისუფალს საფლავზედ და დღე და ღამის გაყრამდინ კიდევ ისრე უნდა მოქცეულიყო, როგორც პირველად.—ორმეოცის მეორეს დღეს დაჰყვლიდნენ რაოდენსავე ხარს, ძროხას, ცხვარს, თუ სხვა და სხვა ფრინველებს შინაურს. ამასთანავე მოიტანდნენ უხვად პურსა და ღვინოს, მოიწოდებდნენ მოძღვარს მახლობლის სოფლებისა და გარეშე მღვდლებსაც; აგრეთვე მოიწვევდნენ გამოურიცხვად სახლისკაცებს, ისრე რომ ათასამდინ, ხან მეტი მოპატყეებულნიპირნი იქნებოდნენ. სადილობის დროზედ გამოალავებდნენ ხორცს, პურს, ღვინოებს კოკებით, ღამს ქაბებით გაკეთებულს და დასდგმდნენ მინდვრათ, სადაც მივიდოდა მოძღვარი, და ამ სადილზედ გადისდიდა ლოკვას: «განუსენენ, უფალო, სულსა მონისა (ანუ მხველისა) ამის შენისასა, (ივანეს, ანუ მარიაშს)». მიცვალებულიკი დასაფლავებული იყო ორს ან სამს ვერსზედ და ამ დაკლულ და მოხარშულს ხორცზედ ასრულებდა იმ წესს, რომელიც უნდა აღესრულებინა მიცვალებულის საფლავზედ. ეს კიდევ ცოტა არის; რადგანაც დაკლული და გაკეთებული ხარი, ან ძროხა, ან ცხვარი და ფრინველი იქნებოდა სადილისათვის, ყველასგან მოძღვარი გადააწყობდა თვისათვის არჩივს (3), ამათ გაგზავნიდა გოდრებით სახლშიდ და შემდგომ მისცემდა ნებას სტუმრებს, სადილად დასხდომისას; რასაკირველია თვითონაც მოძღვარი დაბრძანდებოდა გამოჩენილს ად-

(3) არჩივი შეადგენდა, რადგანაც ხარა ან ძროხას იქნებოდა დაკლული, ან ცხვარი,—ერთს ბუკს, ერთს თქვას, ხათბაღას, ერთს მხარე გუგუდეს. ერთის საკვავისას, ესე იგი ხარისას თავს, ფეხებს და ტყავს; აგრეთვე ცხვრისას. ერთ ჯოჯა ღვინოს, პურსა და ღამს, აგრეთვე ფრინველთაგან თითო თავს მრთულად.

გილზედ და სადილზედაც უნდა იქნებოდა ბეჭი ან თეძო თვისის ორი გვერდით ძროხისა, ცხვრის სათბილო, ბეჭი, თეძო, ნახევარი თავი და ერთი მხარე გვერდები. აგრეთვე ინდაური, ქათამი, პური და სხვა და სხვა რაც იქნებოდა.

აქ აღარ განვარძლებ, სადილათ რა გულს მოდგინეთ დალოცვიდნენ ჭირისუფალს, ანუ განსვენებულს. სადილი გაგრძელდებოდა ოთხს ან ხუთს საათს, და შემდგომ ყველანი წავიდოდნენ თავთავისას; მხოლოდ დარჩებოდა მოძღვარი, რომელიც მოითხოვდა გამოცხანათ დანაშთი ტანსაცმელი განსვენებულისა და ქვეშაგები. რასაკირველია, იმავე წამშიდ მოართმოდნენ, მოჰყვებოდა არჩივას, რომელიც უყუთესი ტარსაცმელი იყო; ერთს ხელს გადიდებდა თავისთვის, აგრეთვე ქვეშაგებს და შემდგომ ორმეოცის წირვის ფასი უნდა ფულად მიეცათ. ათი, ან ოცი, ან ოცდაათი მანეთი; მერე რომ ორმეოცის ტირილი და აღავი გათავდებოდა თუ არა, ზოგიერთების, ვინც ღარიბი იყო, იმის შეძლებაც თავდებოდა და რჩებოდა უფლება პურით ანუ ვალს ქვეშ. იმდენი წელიწადი გასძელით, რამდენს მკვდარს ზოგიერთის ჭირისუფლისაგან ასეთი კურთხევა გაჰყოლოდეს, მგონია ცხონება კი არა, საფლავშიდაც არ აყენებდეს მისის ჭირისუფლის საცოდავობა.

მალაღის წოდების ჩვეულება ხო ავიწერეთ, ეს არის. ახლა მდაბლის ხალხისა უნდა მოგახსენოთ, მაგრამ აღარ ესეთელი საჭიროდ: ადვილი საგულისხმო არის, სადაც მალაღ—წოდებაშიდ ანაირი სარწმუნოების წინააღმდეგი ჩვეულება იყო, და რაოდენიმე ჯერ კიდევაც არის, ჩვენ რაღა ჰქუა გვეკითხებოდა? ერთის სიტყვით აქაურნი გლეხნი, რომელნიც ვართ დაღარიბებულნი, ეს მხეცური ჩვეულებაც არის ერთი მიზეზი ჩვენი სიღარიბისა: მკვდრის ტირილი და იმაზედ ხარჯი.

თუმცა ვაგვარძლებ ჩემი მოთხრობა, მაგრამ იმედი მაქვს ამასაც ისურვებთ შეიტყოთ: იმავე მდგომარეობაშიდვე არის ეს მხეცური ჩვეულება თუ არა? ანუ მაინც რაოდენად ან ბევრად თუ შემცირდა, ვისი ვართ ვლდებული? დიდის კმაყოფილებით მოგახსენებდით, მაგრამ ეგ ჩემი მდივანი მალლის წოდებისა არის, და ერთობ კინტებსა ჰყრის, კალამი ხელითგან დააგლო და ასე მითხრა, მრისხანეთ, ტყვილი კი არ არისო, რასაც იტყვიან გლეხ კაცზედ: «გლეხი კაცი თუ გვერდს მოიჯდინენ, მზახლობას შამოგიკეთოსო», წერას თავი დაანება და გაჯერებული გამეცქა, სანემ სხვა მდივანს ვიშოვიდე ეს ინებეთ და როდესაც ვიშოვი, მაშინ აღვიწერთ ვისის მაგალითის ჩვენებით შემცირდა ჩვენშიდ ტირილი, ხარჯი და სხვაცა შეუსაბამო ქცევა მიცვალებულის განსვენების და ტირილის დროს.

ერთი კულაშელი გადამხუი გლეხი.
21 აპრილს, ს. კულაში.

რუსეთი

წარსულ თვეში სახელმწიფო რჩევაში ლაპარაკი ყოფილა რეალურ შკოლების შესახებ. სახალხო სამინისტროს პროექტით რეალური შკოლები ეხლანდელ რეალურ გემზანიების სწავლაზე ნაკლები და უფრო ხელობის (პროფესიონალური) თვისების უნდა იყოსო. სახელმწიფო რჩევაში ის მოლაპარაკება ყოფილა, რომ რეალურ შკოლებს უფრო საზოგადო სასწავლებლების თვისება უნდა ჰქონდესო და მინისტრის პროექტისათვის უფარი უყვიათ 29 ხმასა, 19 ხმას პროექტის მომხრეობა გამოუთქვამს.

1) ერთ-მოგვარენი თავგანსი მიქვამენი არიან.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ერთმა ინგლისურმა გაზეთმა რაღაც ჭორი დაავლო, რომ ბერლინიდან საფრანგეთის მმართველობას დიდი სამღერავე მოსვლითა, რომ ნაციონალურ კრებაში ჯარის შეიარაღებას დიდ თადარიგზე ლაპარაკს გერმანია ეერ მოითმენსო, და საფრანგეთში თუ ჯარს არ შეამცირებს მმართველობა, გერმანია ხელახლად იმდენს ადგილს დაიჭერს, რომ საფრანგული არა ჰქონდეს რა სრულიად ფულის აღებისა. ამ ამბავმა ძალიან შესძრა საზოგადოება მრთელს ევროპაში და ბევრი ლაპარაკი იყო უკანასკნელს გაზეთებში. ლაპარაკმა იქამდინ მიადღწია, რომ მეფის ტიერის ლაპარაკს რუსეთის, ესპანიის და იტალიის ელჩებთან დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, ამბობდნენ რომ ამ ოთხ სახელმწიფოს აღება პირობის შეკერა უნდა გერმანიასთან ომისათვის. — მაგრამ ბოლოს ეს ხმები ტყელი გამოდგა; გერმანია თავის პირობის გადაცილებას არ აპირბობს, სანამ საფრანგეთი მართლა ნამდვილ მიზებს არ მისცემს უკმაყოფილებასაო. ესლა კიდევ ფრანკულური გაზეთები ლაპარაკობენ ამ საგანზე, თორემ სხვან დაჩუმებულნი არიან.

— აღდგომის შემდეგ გაიხსნა ნაციონალური კრების სხდომა. პოლიტიკურ კრებაში ფიცს ლაპარაკს.

— მარტობთან ტიერს თანაგრძობას და სურვილს უცხადებენ, რომ გესურს რესპუბლიკის დიქარებაო. ნაციონალურ კრების უმეტესს ნაწილს არ მოსურნს ამგვარი აზრები, რადგან ერთის მხრით რესპუბლიკის წინააღმდეგადა მორარს მხრით რასაკირველია მარტობის სურვილი არ მოსურნს რადგან ამასთანავე მარტობას სურთ, კრებადიწალოსო.

ესპანია

უკანასკნელი ამბები ესპანიაში გამართლდა და დაიწყო მოძრაობა. დონ-კასლოსის ბრძანებით ქრენევაში დაბეჭდილია მანიფესტი აპრილის 20, რომლითაც მოიწვევს ესპანიელებს იარალით აღდგომას. ესლანდელი მმართველობას განჰციხავს და უკანასკნელს უკანონო ამორჩევაზე ლაპარაკობს და ამბობს, რომ, რადგანაც რეესლოიუციური მმართველობა ესლანდელის მეფისა თავისავე დაწესებულ კანონს არღვევსო, დონ-კარლოსს სხვა დონისძიება აღარა აქვს იმის მეტი, რომ იარალით ხელში დაიკვას: «პატიოსნება, ღირსება და თავისუფლება ესპანიისაო.» ბოლოს აცხადებს, რომ ჯარის წინამძღვრობას თვით იკისრებს.

ესლა მოძრაობა დაიწყო და შეიარაღებული თარეშები ედებინ ესპანიის მარტობა. მმართველობა აქა-იქ ჯარსა გზავნის თარეშების გასაფანტავად. დონ-კარლოსის მომხრე თავ კაცებს ატუსაღებს. არავინ არ იცის, რით გათავდება ეს მოძრაობა, რომელშიაც სოფლის მღვდლები დიდ მონაწილეობას იღებენ. ამასთანავე შიშობენ, რომ მმართველობის მოწინააღმდეგენი, რესპუბლიკელებიც არ გაერივნენო, რომ თავისი საქმე მოიგონ ამ არეულ-ღარეულობითა, გადაადგონ, დაამზონ ესლანდელი მმართველობა და რესპუბლიკა დაამყარონ.

ახალი საქართველო

მეორე სტატია (*)

რუსეთში, ისე როგორც თვითველ დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოში, არსებობენ სამ გვარი უფლებანი, თანხმობრივ მოქ-

(*) პირველი სტატია. ხილვ № 10.

მედებათა ზედა რომელთაც დამყარებულ არს წყობილობა მთელი სახელმწიფოებრივის მმართველობისა, უფლებანი ესენი იწოდებიან: კანონმდებლობითი (законодательная) მმართველობითი (административная) და მსაჯულებითი (судебная). ხოლო სამთვე ამ უფლებათა აქვს დასაწყისი და მომდინარეობა თვისი ერთისა და იმავე წყაროსაგან, რომელსაც შეადგენს უმაღლესი უფლება ანუ, თვითმფლობელობითი უფლება ხელმწიფე იმპერატორისა ძველ კანონთა მებრ სამნი უფლებანი ესენი, ანუ როგორც სხვებს იწოდებიან, ორღანონი უმაღლესისა უფლებისანი, ხშირათ იყენენ თავიანთ მოქმედებათა შინა შერეულნი, მხოლოდ ახალმან სამსაჯულებითმა რეფორმამ, გამოჰყო რა ისინი ერთი მეორესაგან, დაულდა თვითველ მათგანსა სამზღვარი თავიანთ მოქმედებათა შინა, და ესე ვითარე გამოყოფა ერთი უფლებისა, ესე იგი სამსაჯულობისა სხვათა სამმართველო და კანონმდებლობით უფლებათაგან შეადგენს მეორესა იმ ექვს უმაღლეს დასაწყისთაგანსა, რომელნიც ჩადებულ არიან საფუძვლად მთელი სამოქალაქო სამსაჯულებითი რეფორმისა და რომელსედაც მოლაპარაკება მკითხველთან შეადგენს საგანსა ამ სტატისასა.

სანამ შეუდგებოდე მისს განხილვას, თუ რაშიდ მდგომარეობს გამოყოფა სამსაჯულობის უფლებისა გინა ნაწილისა სხვათა ნაწილთან, საჭიროდ ვრაცნ ესტქვა რამდენიმე სიტყვა მავნდ, თუ რა დანიშნულება აქვს სახელმწიფოში თვითველ სამ შემოთქმულ უფლებათა, ანუ რომელნი მოქმედებანი შეელოან წრესა შინა მათ მოვალეობათა.

კანონმდებლობითი უფლება ეკუთვნის იმ უპირველესს და უმაღლესს სახელმწიფოში დაწესებულს, რომელსაც ეწოდების სახელმწიფო რჩევა. (Государственный совет) სახელმწიფო რჩევა, რომელშიაც თავ-მჯდომარეობს თვით ხელმწიფე იმპერატორი, ანუ მის მაგიერად დროებით დანიშნული, რომელიმე წევრი რჩევისა, განიყოფების ხუთ დეპარტამენტად, სახელობა: 1) კანონთა; 2) სახელრო საქმეთა; 3) სამოქალაქო და სასულიერო საქმეთა; 4) სახელმწიფოების ეკონომისა; 5) პოლმის სამეფო საქმეთა. ხოლო შეერთებულ ყოფნას რამოდენთამე დეპარტამენტთა, დანიშნულს გარდასაწყვეტად რომლისამე მიმე და უარესს სახელმწიფოსისა საქმისა, ეწოდების საზოგადო კრება სახელმწიფო რჩევისა (Общее собрание Государственного совета). გარდა სახელმწიფო რჩევისა, რუსეთში კვლად არსებობს ერთი უმაღლესი და წესებულება, საეციალური დანიშნულება, რომლისა მდგომარეობს შედგენასა და განხილვასა შინა უმაღლესის ბრძანებისამებრ სხვა და სხვა გვარ კანონთ პროექტებისა და ამ დაწესებულებას ეწოდების მეორე განყოფილება საკუთარის მისის უდიდებულესობის კანცელარიისა (Второе отделение собственной Его Величества Канцелярии).

აწ უჩვენებ მკითხველს, თუ რა სახით, ანუ საიდან წარმოსდგებიან თვითველი ახალი კანონი ანუ დადებულება. პირველსახეობრივი წინეთ-გამოხატულება (первообразное предложение) კანონთა შესდგების ანუ განსაკუთრებით მისის უდიდესობითის შეხვედრითა და ბრძანებითა, ანუ მიიღებს თავის დასაწყისს საზოგადო მომდინარეობისაგან საქმეთა დროსა მათ განხილვისასა უმართებულესს სენატში, უწმიდეს სინოდში და სამინისტროებში, როცა მათ მიერ დანიხების საჭიროდ ანუ შეესება და დამატება უკვე მოქმედ კანონისა ანუ შედგენა ახლისა კანონისა, გინა დაწესებულებისა. ამ შემთხვევებში ზემოხსენებულნი სასამართლო აღდგინენ წინთ დადებულებათა თვისთა წარადგენენ სახელმწიფო რჩევაში, რომელიც, განხილვას რა მათ, თავის მათზე ჰაზრითურთ წარუდგენს ხელმწიფე იმპერატორისა და მხოლოდ მაშინ მიიღებენ იგინი ძალსა კანონისასა, როცა შეიქმნებიან დამტკიცებულნი თვით-მფლობელობითი უფლებითა ხელმწიფე იმპერატორისა, მისის საკუთარი ხელის მოქმედით. შედგომ მისსა, ახალი კანონი ესე გაიგზავნების უმართებულესს სენატში, რომელიც იქმს განკარგულებას მის საქმეწყო გამოცხადებისათვის. ხოლო როცა შესახებ კავკასიისა დანიხების საჭიროდ შეესება რომლისამე კანონისა, ანუ შედგენა ახლისა, მაშინ ნამეტნიკი კავკასიისა თავის წინეთ-გამოხატულებას წარუდგენს არა სახელმწიფო რჩევას, არამედ კავკასიის კამიტესს (Кавказский Комитетъ) რომელიც შემდგომ მის განხილვისა თვისი აზრითურთ დადგინებული წესით მიაწვენიებს მას უმაღლესის უფლებისადმი; ხოლო ზოგიერთ განსაკუთრებით უარესს საქმებშიდ

ნამეტნიკს კავკასიისა აქვს უფლება წინეთ-გამოხატულებანი თვისნი წარუდგინოს პირდაპირ ხელმწიფე იმპერატორს. მაშა სადამე, ყოველ შემო თქმულთაგან ცხადათ დანიხების, რომ წყარო და დასაბამი ყოველთა კანონთა, სხვა და სხვა გვარ რეგლამენტთა, ესე იგი კანონებრივი ძალის მექანე უსტავებისა და დადებულებათა არის რუსეთშიდ თვით ხელმწიფე იმპერატორი.

აწ გარდვიდეთ სამმართველო უფლებისადმი. სამმართველო უფლება გინა ადმინისტრაციული განიყოფების ორ ნაწილად: განკარგულელობითი (распорядительная) და აღმასრულებლობითი (исполнительная) უკანასკნელ ნაწილს შეადგენს სამაზრო და სამოქალაქო პოლიცია, ხოლო პირველსა—გუბერნიის სამმართველო, რომლის თავედ ირიცხების გუბერნატორი და სამინისტრო შინაგანთა საქმეთა, რომელშიაც თავ-მჯდომარეობს თვით მინისტრი იმა საქმეთა. საზოგადოდ, წრესა შინა არსებითთა მოვალეობათა ადმინისტრაციული უფლებისა შევილიან შემდგომნი მოქმედებანი: წინეთ მიუშვებლობა (предупреждение) და მოკვეთა ყოველ-გვარ დანაშაულებათა და კანონთ დამმართველო მოქმედებათა; დაცვაი საზოგადოებაშიდ წესიერებისა, მყუდროობისა, მშვიდობიანობისა და უშიშრობისა; მუარველობა ყოველთა მათ რამეთა, რომელნიც შეადგენს საზოგადოების და სახელმწიფოების ინტერესთა; შეკრება სახელმწიფო ხარკისა და გარდასახადისა; გამართება მარტობშიდ საქმეწყო გზებისა; მიღება ზომათა დასაცველად ხალხშიდ კეთილ-დღეობისა, ესე იგი, მოსაზობა ყოველგვარ ემიდვიურ სწეულებათა და მათ მუარმოებელ მიზნებთა; აღმოჩენა ხალხისათვის შესაძლო შემწეობის შემთხვევით უბედურებაშიდ, მაგალითებ შიმშილშიდ და სხვანი და სხვანი. აქედან ცხადათ დანიხაშს მკითხველი თუ სფერა ადმინისტრაციული გამკრახობისა რაოდენ ვრცელ არს სახელმწიფოშიდ. ამისათვის ყოველგან მიღებულია იურიდიკულ ჰემშირტებად ის აზრი, რომ შინაგანთა ღირსებითა და ზნეობითი ხასიათითა ადმინისტრაციისა განიხილვების კეთილ-დღეობითი მდგომარეობა საზოგადოებისა, მისი დაწინაურება, მისი პროგრესი.

მესამე უფლებას სახელმწიფოშიდ, როგორათაც შემოთა ვსტქვით, შეადგენს მსაჯულებითი უფლება. მსაჯულებითი უფლება, ახალთა წესდებულებათა მებრ 20 მემბრისა 1864 წ., თვისი სასიათობრივი განსხვავებითა განიყოფების კვლად ორ ნაწილად: პირველს, რომელიც განწესებულ არს განსარჩევლად მკორე საქმეთა, ეწოდების მომრიგებელი მოსამართლე და თავ-ყრილობა მომრიგებელთა მოსამართლეთა, (Осуждающих судей); ხოლო მეორესა, რომლის განჩრევისა და გარდაწყვეტის ექვემდებარებიან ყოველი დანაშთენი საქმენი,—იწოდების ოლქის სასამართლო, სამსაჯულო პალატა და კასაციონური სენატი. თავ-ყრილობა მომრიგებელთა მოსამართლეთა ჩვენშიდ არ არსებობს, მისი ადგილი უჭირავს ოლქის სასამართლოებს. დანიშნულთა მსაჯულებითის უფლებისა სახელმწიფოშიდ მდგომარეობს იმაშიდ, რათა თხოვნისამებრ კერძობითთა ფიზიკურთა და იურიდიკულთა პირთა, საფუძველსა ზედა არსებითთა კანონთა, დაცულ იქმნესმათი სიმართლე საკუთრებისა და სიმართლე პიროვნობისა ყოველგვარ უმართლო მძლავრობისაგან გარემეთა პირთა; რათა თვითველ წევრს საზოგადოებისას შეეძლოს თამამად ხვერება დსარგებლობა თავისი კანონზედ დამყარებულ სიმართლისა შემწეობითა და მუარველობითა იმ მიუდგომელი და ყოველთათვის თანასწორ უფლებისა, რომელსაც ეწოდების მართლ-მსაჯულება.

ჩვენს მმართველობამ, სცნა ის ჰემშირტება, რომელ კეთილ-დღეობისა და წარმატებისათვის სახელმწიფოსისა საჭიროა, სხვათა შორის, პირველად რათა იქმნეს მტკიცედ დანიშნული სამზღვარი მოქმედებათათვის თვითველ შემო თქმულ უფლებათა, ესე იგი, კანონმდებლობითისა, ადმინისტრაციული, და სამსაჯულობისა, და მეორედ, რათა მართლ მსაჯულებას ჰქონდეს სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება აღსრულებასა შინა თვის მიმე და უარესს მოვალეობათა. ამის გამო, ეს ჰემშირტება, ეს იურიდიკული პრინციპი, შეიქმნა მისთვის ესე იგი მმართველობისათვის ხელთ-მძღვანელ აუად თავის უკანასკნელ მსაჯულებითის რეფორმულ მოღვაწეებასა შინა.

მისათვის, რათა უმჯობესად გაიგოს მკითხველმან მნიშვნელობა იმ პრინციპისა, რომელიც მდგომარეობს გამოყოფასა შინა მსაჯულებითის უფლებისა სხვათა უფლებათაგან, საჭიროდ ვრაცნ წარმოუდგინო მას რამდე-

ნიმე მოსაზრებანი მავნდ, თუ რაშიდ მდგომარეობდა უწინ, ახალი წყობილობის შედგენის უფლებათა. შერეულ ჰყოფნაი ესე მდგომარეობდა პირველად ხასიათსა შინა საქმის წარმოებათა საზოგადოდ, მეორედ, დამოკიდებულ მდგომარეობასა შინა მაშინდელთა მოსამართლეთა. განვიხილოთ თვითველი მათგანი.

(დაბოლოება შემდეგ № ში)

ბეტრე ხარეკოვი.

ნარევი

ყველა ქვეყნებში დებულებას რომ გასაფიქსურებით, ფრისხისა და ოთხთხის განმარტების დროს, ნადირობს არ იყოს. ამ დგომარეობის დამდგენელს ვარდისა ხანდენებენ. ზარბუზი საზოგადოებას შეეძგარა ამ ნადირობის წესის დამდგენებათა მდგენელი. მარტის უკანასკნელ დღეებში ტიერს ელჩებისთვის დიდი მეჯობა ქქონია. ნადირობის წესის დამდგენელთა მდგენელ საზოგადოებაში შეუტყუათ, რომ ტიერს სადილათ გაგაბი აქსო და წიგნი მიუწერათ ტიერთას, რომ თქვენ ყოველთვის ჩვენი წესის მტრები მტრული იყავით და ასლა ამისთანს უწესობას გვესმისო. ეს წიგნი სუფრასე ტიერის წინ დაუდვით სადღეობს ქქოშ. ტიერს რა წაუკითხავს, მოუკითხავს: მართლა გაგაბი გვექნას სადილათო? ეს ამბავი ტიერსი გამომდგან და ტიერის ერთ მეჯობას მიუწერა მონადირეთ წესის საზოგადოების თაკქდომ მარისთვის მადლობას, რომ ატოით გაი თავე-ყურის მდგენელი ყოფილხანთაო. ესე გაგაბის ამბავი გათავსებულა, მაგრამ ბონამარტელებსა გასუა თესს გაუზგათობათ: შესევე ესლანდელ მმართებლობასო! ნამდგენის დროს, თავის დღეში მმართველობა გაგაბს არა სქამდა გასაფიქსურებითა და მონადირეთ წესს არ ადგენდო; გასლანს ყოველთვის ასრულებდო.

მოსკოვში ამ ასლა ხანებში სმა გაკარდნილას, რომ სორტი გირგანქა ორმურინი ძალანს დაქირდებაო, ასე რომ გირგანქა მანათათ გახდესო. მწარე დაღონებულა მოსკოვის სალსი. პოლიციის მთავრობის გამოუცხადებას სალსის დასამკვიდრებათა განკარგულებას რომ, რაც უნდა დაქირდეს სორტი, ხუ გუფიქებათ, ექვს შურსზე შემოთა ადარ აიქვსო. ამ გულდაჯერებას ისეთი ძალა ქქონია, რომ შეორეს დღეში გასლანს გირგანქა სამმურთა გასლდათ.

მარტის თვეს მოსკოვში ერთ კონცერტის დროს სამწესარო ამბავი ამძადდა. ერთ გუგერნანტას მარამ მენერს 27 წლისსა დამაშით თავი მოუკვავს. მიხეცია ამ სიკვდილის სიყვარული ყოფილათ. თუმა ზედა მიწების არა სჩანს, მაგრამ ნიშნები გაიუმხვიათ, რომ ამ ქალს ერთი გამოქინელი სურავის მტრადე ქვეარებათა მიქდა სიყვარულიათ. ხშირათ დაიარებად თორმე მუხივის საზოგადოების კონცერტებში, უკანასხვად დამეს კონცერტში თორმე რამდეჯერმე მივიდა უფ. რუბინსკისთან, გამოქინელ მუხივის მტრდესთან და ემშვიდებოდა; მაგრამ რუბინსკის ამ ქალის ცნობას არა ქქონია და მოსლოთ სხეუ კი დასსომეპულია აქვსო. თავი მოუკვავს იმ დროს, როდესაც წალაში სალსი ტრატად დარჩენილას და დაანხის ერთ სროლასედეგ მაქვდა-რას. პორტმანში ბარათი უბოგნათ, ჩემ სიკვდილს ნურავის ხუ დასანდალეთო. გაბის ქქეშ, გულთან უბოგნათ ქალადღეში გასკვეული ფორტპანდების სასკე-ბი გამოქინელის მუხივის მკვრელისა. რა ყოფილას სიყვარული!

მარტის ვლადიკავკას მთავ იყო ამჯგარი შემთხვევა იმ განსხვავებით, რომ გაგმა მოკვლა თავი ქალისთვის, რომელიც ქმრანია იყოს.

ერთ გასკოში ამძინის ამბავი მოყვანილი. ნამდგენის 1848 წ. პრეზიდენტათ ამორჩევის შემდეგ ამძინის დაქმნდა პოლიციას. ამძინიმ პაროიადმ თავი ვეღარ დასწის და დონის მიება რა ვეღარ იბოვა, ერთი საქმე გაქვდა: იმოვნს ჰანდარმის მიუდარი, ჩაიწება, მივიდა ნამდგენის სასლესთან და იმდენი ქსა, ნამდგენთან შეკვდა. შეკვლასთანავე ქვითსა:

- მიცნობათ, ვინდ ვარო?
- არათ, უბასუხს პრეზიდენტისა.
- მამ მოკვსსხეუბადეთ, რომ მე ის ამძინი განსავარ, თქვენ რა ღონდონში ვარგა იცნობდით.
- ასლას ჩემთან რა გეპებთო? ქვითსა ნამდგენისა.

— დონისძიებას მინდა თქვენი პოლიციის სედიდგან თავის დასაღწეათ. ამ გამოვლამდ ნამდგენის ძალა დასტანს, რომ ამძინისთვის დონის ძიება მივიდა საფრანგეთდგან უუნებლათ გასუფიყო. შექვეში ნამდგენი თორმე ხანობა ამ დიდ-სუფიქებას, სედიდგან რათ გაუყო...
